ტექსტისათვის

სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკამ _ “თემურ-ლენგის პირველი შემოსევების ისტორია” ჩვენამდე ერთი ნუსხით მოაღწია. ეს მცირე ზომის ქრონიკა სომხეთის მაშტოცის სახელობის სახელმწიფო მატენადარანში დაცული N 9832 ხელნაწერის ნაწილია და მოიცავს 19 r- 22 r გვერდებს.

ხელნაწერი XX საუკუნის 40-იან წლებში აღმოაჩინა ქ. დიარბექირში (თურქეთი) მცხოვრებმა სომეხმა სასულიერო პირმა. 1950 წლიდან ხელნაწერი კონსტანტინოპოლელი სომეხი კოლექციონერის თოროს აზატიანის კოლექციაში ინახებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ წიგნი სხვა საარქივო მასალასთან ერთად ე. ჩარენცის სახელობის ლიტერატურისა და ხელოვნების მუზეუმს გადაეცა. 1958-1961 წლებში ეს ხელნაწერი და თ. აზატიანის კოლექციის სხვა სომხური ხელნაწერები მატენადარანს გადაეცა.

1972 წელს გამოჩენილმა სომეხმა მკვლევარმა ლევონ ხაჩიკიანმა L³jÙ³-wfgfehñfu³g Kfg»ze-ის (ისტორიულ-ფილოლოგიური ურნალი) N 4-ში გამოაქვეყნა სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკა და იმავე ხელნაწერში დაცული კირაკოს რშტუნელის ქრონიკა, დაურთო მათ მცირე გამოკვლევა და კომენტარები.

ქრონიკის ტექსტის თარგმნისას ჩვენ ვსარგებლობდით ლ. ხაჩიკიანის პუბლიკაციით.

თემურ-ლენგის პირველი შემოსევების ისტორია, დაწერილი სტეფანე და ნერსე მეწოფელების მიერ[1]

836 წელს[2] სამარყანდიდან[3] დიდი მხედრობით დაიძრა თავრიზის ხანის წინააღმდეგ თემურ-ლენგი, რომელიც ადრე თავრიზის ხანის მეომარი ყოფილა[4], რაღაც მიზეზების გამო გაქცეულა სამარყანდში და დიდი ავაზაკი გამხდარა[5]. ამგვარად აიღო სამარყანდი, გაძლიერდა, აიღო ბუხარა[6], დაიძრა წინ, გადავიდა დიდ მდინარე აჰუნს[7] და აიღო სატახტო ქალაქი ჰრე[8], დაიმორჩილა შაჰ-მანსური[9] – ხორასნის უფალი და მთელი მისი ქვეყანა: ხორასანი, შირაზი[10], ქ[ე]რმანი[11], ასპაჰანი[12], ნიშაპუჰი[13], კურანი[14], მაკურანი[15], თუ[ს]ი[16], თაანი[17], დაღმანი[18], მაზანდარანი[19], რე[20], ღუმი[21], ქაშანი[22]. და მიაღწია სულთანიამდე[23] და იქიდან გამოემართა, წამოვიდა თავრიზისკენ[24] და აიღო.

და წავიდა [თემურ-ლენგი] სივნიელთა ქვეყანაში ერნჯაკის ციხის წინააღმდეგ და აიღო ის[25], ქალაქი სურმარი[26], რომელიც ბაგრატუნთა ტომის მიერ იყო გამაგრებული, ფუძიანად დაანგრია. ხოლო ერთმა კეთილმა მამასახლისმა სოფელ კოღბიდან[27], მოხერხებულობით გაათავისუფლა თავისი სოფელი და სხვა მრავალი პირი თაქალთუს მთაზე[28].

ამავე დროს დაიმარხა გეტარგელი წმინდა ნიშანი, რომელიც ცხოველმყოფელი ხისგან იყო [გაკეთებული], რომელიც ||(19ვ)|| სილ[ი]ბისტრომ მისცა წმინდა გრიგოლს[29]. რომელიც ორმა კაღზვანის ბერმა წმინდა მამის – ვარდ[ი]კის მონასტრიდან გამოიტანა, დამალა და ჩაღათა დაეწია, მოკლა ბერები და შემდეგ ბევრი ეძიეს და ვერ იპოვნეს, ვინაიდან უფლის ნებით მოხდა ასე[30].

და მოაოხრა ქვეყნისმაოხრებელმა თემურმა ყველა ქვეყანა და სომხეთი ყველაზე მეტად დაანგრია, და შევიდა ქალაქ თბილისში და სრულებით დაიმორჩილა. ხოლო ქართველთა მეფე, სახელად ბაგრატი, ებრაელთა იმ ტომიდან, რომლებიც თავიდან ბაბილონელთა ტომისა და შემდეგ ტიგრანის მიერ იყვნენ წარტყვევნილი და ამ მიზეზით შეერივნენ ჩვენს ტომებს და ჩვენში გახდნენ რჩეული მეფეები[31], და ბერძენთაგან და სპარსთაგან შევიწროებულებმა მისცეს ანისი ბერძნებს და პატარა გაგი[კ]ი[32], მეფედ კურთხეული, წამინდავში[33] წავიდა და სხვები, ბაგრატუნთაგან დარჩენილნი, წავიდნენ საქართველოში და გახდნენ მათი მეფეები და შემდეგ გახდნენ ქალკედონელები. იგი, დიდი ძღვენით წარდგა თემურის წინაშე. ხოლო მამაცმა ბაგრატმა მოატყუა თემური, რომ: „მომეცი შენი მრავალრიცხოვანი არი, რათა წავიდე ჩემს ხალხში და ყველა გავათათრო“, და ესენი არიან: დვალი, ოსეთი, იმერელი, მ[ე]გრელი, აფხაზი, სონები, ქართველი, მ[ე]სხი, თემური || (20რ) ||| ენდო მას, მისცა არი და მან წაიყვანა ჩაღათას არი – ყველა დაღუპა, თემურის წინააღმდეგ გამოვიდა მისი (ბაგრატის) სამი ვაჟი: გიორგი, კონსტანტინე, დავითი და [თემური] შერცხვენილ იქნა[34].

განრისხებული [თემური] მოვიდა სომხეთში მაჰმად-ხანის[35] წინააღმდეგ და ის ჭაფხურამდე[36] გაიქცა და იძლია თემურის ლაშქარი, მაგრამ თემური უვნებლად გადარჩა და ახალი ჯარი შეკრიბა მათგან, ვინც გაფანტული იყო. თურქმანი მოვიდა მუშში[37] და თემურიც მოჰყვა.

ხოლო ამ არეულობის გამო, რომელიც ორმა ხანმა მოუწყო ერთმანეთს, ეს ქვეყანა უპატრონოდ დარჩა. ის ქვეყანა _ ქაბერუნელთა-არჭეში, ხორხორუნელთა სახლი-ჰანაგაჰი და მანაზკერტ-ჰარქნისი[38] გაექცნენ ჩაღათას და მოაღწიეს მუშის გავარს, წმინდა კარაპეტის სავანეს[39]. და მე, სტეფანე მეწოფელმა ვარდაპეტმა, და ნერსე ეპისკოპოსმა გამოქცეული ქრისტიანები წავიყვანეთ წმინდა კარაპეტში, ვინაიდან თემური მოწყალე თვალით უყურებდა აბგარ ეპისკოპოსს, მტკიცედ ნაგები იყო წმინდა კარაპეტის მონასტერი. უფალმა აბგარმა და იაკობ ვარდაპეტმა დაუყოვნებლივ მიგვიღეს ჩვენ და ყოველი ლტოლვილი გაამხნევეს საკვებით, ძღვენით და თანადგომით. და აქედან ჩავედით ველზე და წავედით ხასგეღში[40], როცა მივდიოდით არჭეშში[41]. ხოლო ||(20რ)|| თემურის არებმა გააჩანაგეს და გაძარცვეს ხიზანი[42] და ხუთაში[43] ჩააბარეს ვინმე შეხ-შარუს[44] და მან ღვთის ნებით აგვიყვანა ხუთას მთაზე, და მოულოდნელად მოაღწიეს თემურის არებმა ხიზანს, დაღუპეს და წარტყვევნეს. მათ შორის ვიყავი მეც, ნერსე ეპისკოპოსი და ვხედავდი არაადამიანურ უბედურებას, რომელიც მორწმუნეთა სიმრავლემ შეჰღაღადა უფალს.

ამ დროს ერთმა ქალმა თავისი ვაჟი თვითონ მოკლა და თავი შვილს დააკლა, რომ თათრებს არ ჩაუვარდეთ და არ წავწყმდეთო. ხოლო როდესაც ეს უბედურება ვიხილეთ, უფრო მეტად შევჰღაღადეთ უფლის ძმის ნიშანს, რომელიც იყო ვანდირში[45] წმინდა მოციქულის თადეოზის მიერ მოტანილი, რომელიც მაცხოვნებელი ხისგან იყო [გაკეთებული]. გამოცხადდა ხალხი და ტყვეები წმინდა კარაპეტში და მაღალი ხმით შეჰღაღადეს და მეორე მხრივ ყველა თაყვანს ვცემდით წმინდა მოციქულებს, რომელიც არის ლაზარეს მონასტერი[46], ვინაიდან იქ არის დასვენებული ლუკა მახარებლის და ანდრია მოციქულის ნაწილთაგანნი და ორი მარვენა, პეტრესი და პავლესი, წმინდა მოციქულებისა, რომლებიც წმინდა სილ[ი]ბისტროს და მეფე კონსტანტინეს მიუძღვნიათ განმანათლებლისთვის და განმანათლებელს ანგელოზის რჩევით დაუსვენებია ტივროსის მთის კარიბჭეში, მუშის მხარეს, რომელსაც ეწოდება ლაზარეს მონასტერი, ვინაიდან განმანათლებელმა აუშენა წმინდა მოციქულებს, როცა ის და თრდატი დაბრუნდნენ რომიდან და მონასტრის მამად დაადგინეს ლაზარე _ გლაკის ძმა.

როცა ყველა ტყვემ, რომელიც ჩაღათას ხელში იყო ჩავარდნილი მაღალი ხმით იღაღადა წმინდანთა წინაშე და მოყვანილი ხარი დავკალით ლაზარეს სავანეების წინ, მაშინ მოხდა დიდი სასწაულები, რადგან თურქმანი ფირ-ჰასანი[47], რომელიც ყარა-მაჰმადს მოსწყვეტოდა და თემურის შიშით წოვასარში უნდოდა წასვლა, უცაბედად შეეახა ჩაღათას, რომელსაც ურიცხვი ტყვე მოჰყავდა. ჩაღათას თემურისგან ბრძანება მიეღო, რომ ფირ-ჰასანი შეეპყრო და მისი არი გაენადგურებინა. მაშინ ტყვეების ხმა აღწევს წმინდა აღბერიკს და წმინდა მოციქულებს და წმინდა კარაპეტს და აქ მოხდა დიდი სასწაულები, რადგან სამი ხილული თეთრად მოელვარე კაცი თეთრ ცხენებზე ამხედრებული არწივივით მოვიდა ზეციდან და შეერია ფირ-ჰასანის არს, რაც ჩვენ მეუდაბნოე ბერმა, უფალმა კარაპეტმა, მოგვითხრო, რომელმაც თავისი თვალით იხილა და ტყვეთაგან სხვა მრავალმაც. და ამ სასწაულის ძალა მოიღო ფირ-ჰასანმა და მოსპეს ჩაღათა, რადგანაც ერთმა თურქმანმა ასი ჩაღათა მოკლა და ყველა დატყვევებული განთავისუფლდა ჩაღათასგან, ძეებითა და ასულებით ვადიდეთ უფალი და მისი წმინდა საკვირველმოქმედება. ||(21ვ)||

ხოლო მეორე დღეს მოვიდა თემური ქალაქ მუშში და იხმო თავისთან

მათი ამირა და უთხრა: «წამიყვანე თურქმანზე, რომ შური ვიძიო», და მივიდნენ ბრძოლის ადგილზე. მაშინ თემურმა თავისი თვალით იხილა, რომ მახვილის გარეშე მოკლულნი უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მახვილით. მაშინ შეშინდა თემურლენგი და თქვა: “ეს ღვთის საქმეა”, და თურქმანისგან შეშინებული უკან გაბრუნდა და დაასაჩუქრა სამივე მონასტრის წინამძღვრები და არც მუში გააწბილა, წავიდა ბაღეშს[48] და ამირა შარაფს[49] დაუმეგობრდა.

აქიდან წამოსული მოვიდა არწკეში[50], დაატყვევეს ერთი იერუსალიმიდან მომავალი უღაელი ბერი კარაპეტი, მიუყვანეს ეპისკოპოსს, რათა დაელოცა თემურის ბრძანებით და გაგზავნეს ქალაქ სამარყანდში სომეხთა ტომის გამო, რომელიც წარიტყვევნა შაპუჰისაგან ურულო ვასაკის ხელით, მაშინ როცა მამაცი ვარდანი ეწამა[51]. სომეხთა წელთაღრიცხვით 50 (602) წელს სმბატ ბაგრატუნი[52], რომელიც ხოსრო სპარსთა მეფისგან გამეფდა, წავიდა ვრკანის ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია საგასტანი, რომელიც არის სამარყანდი[53] და ნახა იქ დატყვევებული ტომით სომეხნი და გაამხნევა ისინი, რადგან დავიწყებული

ჰქონდათ ენა და წიგნი, თავიდან განამტკიცა ენა და წიგნი მათ შორის და დაადგინა აბელ ხუცესი მათ ეპისკოპოსად. და ლანგ თემურმა ეს ბერი კარაპეტი ||(22რ)|| გაგზავნა მათ გასამხნევებლად.

და თვითონ ვანის[54] წინააღმდეგ წავიდა აიღო ის და უზომოდ დახოცა ბოლო კაცამდე, რომელიც კლდიდან მიწაზე ვარდებოდა და არ კვდებოდა გვამების სიმრავლის გამო. და ტყვეები ერთმანეთში გაიყვეს და ერთმა ჩაღათა მთავარმა თავისი წილი გაათავისუფლა და მისი განთავისუფლებული ტყვეები ვასპურაკანის დასახლების მიზეზი გახდნენ.

წავიდა თემური ჰორომთა ქვეყანაში და სებასტია[55] ააოხრა, და პატარა ბიჭები ცოცხლად ჩაყარა ცხენების ფეხქვეშ. და მიაღწია ბურსას[56] და ჰორომთა სულტანი ილდირიმ ბაიაზეთი და მისი ცოლი დაატყვევა[57] და ქვეყანა მოაოხრა უმოწყალო თემურ ლენგმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

[1] ავტორთა ვინაობის შესახებ ინფორმაცია იხ. სადისერტაციო ნაშრომის გვ. 34-38.

[2] სომხური წელთაღრიცხვის 836 წელი შეესაბამება 1387 წელს. თომა მეწოფელის ისტორიასა და XIV-XV საუკუნეების ანდერძ-მინაწერების უმრავლესობაში ამ წლით არის დათარიღებული თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობა ამიერკავკასიის ქვეყნებში. სინამდვილეში თემურის მიერ თავრიზის აღება ისევე, როგორც პირველი ლაშქრობა სომხეთსა და საქართველოში 1386 წლის დამდეგიდან იწყება და 1387 წლის ბოლომდე გრძელდება.

[3] სამარყანდი თემურ-ლენგის სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა მას შემდეგ, რაც თემურმა ძველი მოკავშირე და არახელსაყრელი მეტოქე ამირა ჰუსეინი მოაკვლევინა და მავერანაჰრის ერთპიროვნული მმართველი გახდა (1370). მან გაამაგრა სამარყანდი, მის ციტადელში გადაიტანა ხაზინა და სატახტო ქალაქად გამოაცხადა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში თემური ცდილობდა სამარყანდი მსოფლიოს პირველ ქალაქად ექცია, რაც ძირითადად დაპყრობითი ომებისას ტყვედ ჩავარდნილი ოსტატების, ხელოსნების, ვაჭრებისა და დაპყრობილი ქვეყნების სიმდიდრის მიტაცების ხარზე ხდებოდა. სხვა ქალაქებთან შედარებით სამარყანდის უპირატესობის წარმოსაჩენად თემურმა ქალაქის გარშემო დასახლებების მოწყობა ბრძანა და მათ მუსლიმური სამყაროს ყველაზე ცნობლი ქალაქების სახელები უწოდა: ბაღდადი, მისრა, დამასკო, შირაზი, სულთანიე. (Бартольд В.В., Сочинения, т. 2, ч. 2, М., 1964, გვ. 38; т. 2, ч. 1, М., 1963, გვ. 159).

[4] ჩვენი ქრონიკისა და თომა მეწოფელის ისტორიის გარდა არსად არ დასტურდება თემურ-ლენგის მსგავსი ურთიერთობა თავრიზთან და მის მმართველებთან.

[5] ცნობას თემურ–ლენგის ავაზაკობისა და ყაჩაღობის შესახებ თომა მეწოფელის გარდა ადასტურებს კასტილიის ელჩის რუი გონსალეს დე კლავიხოსა და იბნ არაბშაჰის ნაშრომებში დაცული ინფორმაცია. (Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), М.,” Наука”, 1990. сетевая версия, გვ. 77; Бартольд В.В., Сочинения, т. 2, ч. 2, გვ. 38).

[6] ბუხარა თემურ-ლენგმა 1370 წელს აიღო.

[7] აჰუნი _ ეიჰუნი _ გიჰონი _ მდინარე ამუ-დარიის ბიბლიური სახელწოდებაა. XIII საუკუნეში ის განიხილებოდა როგორც საზღვარი ჩაღათაელებსა და ჰულაგუიდებს შორს. ეს საზღვარი უკვე XIII საუკუნეშივე ირღვეოდა ჩაღათაელთა მხრიდან (Бартольд В.В., Сочинения, т. 2, ч.1, გვ. 205; 660; Бартольд В.В. Сочинения, т. 7, М., 1971, გვ. 52).

[8] ჰრე _ ჰერათი _ მდებარეობს მდ. გერიდურის ველზე, თანამედროვე ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით. ჰერათი მონღოლების დროს აღმოსავლეთ ხორასანში აღმოცენებული ქურთების დინასტიის ვასალური სათავადოს ცენტრი გახდა. ჰულაგუიდების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჰერათის მფლობელმა მუ’იზ ად-დინ ჰუსეინმა (1331_1370) თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. ჰერათმა დამოუკიდებლობა თემურ-ლენგის შემოსევამდე შეინარჩუნა. 1381 წლის აპრილში თემურმა აიღო ქალაქი დაანგრია მისი დამცავი კედლები და უზარმაზარი კონტრიბუცია დაადო. 1383 წელს წარუმატებელი აანყების შემდეგ თემურმა ქართების დინასტია დაამხო, ხოლო 1389 წელს დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები ამოწყვიტა და სამართავად თავის ვაჟს მირანშაჰს გადასცა. 1397 წლიდან კი შაჰრუღი მართავდა ჰერათს. მან თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ დედაქალაქი ჰერათში გადაიტანა. აკად. ვ. ბარტოლდის თქმით “თემურიანთა მმართველობის ეპოქა ჰერათის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი იყო”. (Бартольд В.В., Сочинения, т. 2, ч. 2, გვ. 51, 207-208; Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 70-83; Пигулевская Н.В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л.В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до XVIII века, Л., 1958. გვ. 231-232; Beatrice Forbes Manz, The Rise and Rule of Tamerlane, Cambridge University Press, 2002, გვ. 70).

[9] შაჰ-მანსური _ მუზაფარიდთა დინასტიის (1313_1393) უკანასკნელი მმართველი (1387_1393). მუზაფარიდთა სახელმწიფო XIV საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა. მუზაფარიდები არაბი დამპყრობლების ირანიზებული შთამომავლები იყვნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ ხორასანში. მონღოლთა ბატონობის დროს ისინი იეზდის რაიონში გადასახლდნენ და იქაურ ათაბაგს დამორჩილდნენ. მუზაფარიდთა შორის დაწინაურდა მუბარიზ ად-დინი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მეიბურდი, ხოლო 1319 წელს ოლეითუ ყაენისგან იეზდის ნაცვლობა. 1340 წელს მან დაიპყრო ქერმანი, 1353 წელს შირაზი, მთელი ფარსი, 1356 წელს ლურისტანი ხოლო 1357 წელს ისპაჰანი. მუზაფარიდ შაჰ-შუას (1359-1384) თავრიზისა და აზერბაიანის დაპყრობაც უცდია 1375-1376

წლებში. მას თავისი ძმისშვილი შაჰ-მანსური გაუმწესებია შირვანის, არანის, მუღანის და შემახის მმართველად. შაჰ-მანსურმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია თემურ-ლენგს. მუზაფარიდთა სამფლობელოების დაპყრობა 1393 წლამდე გაგრძელდა. ამავე წელს ბრძოლაში დაიღუპა შაჰ-მანსურიც. (История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ.219; 232; კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ. 1989, გვ. 129).

[10] შირაზი _ არაბების მიერ სამხედრო ბანაკის ადგილზე აშენებული ქალაქი. XIV საუკუნის ბოლოსათვის ის მუზაფარიდთა დინასტიის დედაქალაქი იყო და მუსლიმური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მდიდარ ქალაქად ითვლებოდა. თემურ-ლენგმა ორერ დაიპყრო იგი: I – 1387 წელს, II _ 1393 წელს. მუზაფარიდთა დამხობის შემდეგაც თემურიანთა ეპოქაში ქალაქი კვლავ რჩებოდა სპარსეთის ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრად და მხოლოდ სეფიანთა ირანის დროს დაკარგა ძველი მნიშვნელობა. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 159).

[11] ქერმანი _ ცენტრალური ირანის ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი. მისი დაარსება უკავშირდება სასანიდთა დინასტიის ფუძემდებლის არტაშირის სახელს. ოლქის ცენტრად ქერმანი X საუკუნეში ბუიდების (არაბული დინასტია) დროს იქცა. ცნობილია, რომ თემურ-ლენგის დროს ფარსელი და ქერმანელი ოსტატები აბრეშუმის ხალიჩებს ამზადებდნენ სამარყანდის ბიბი-ხანიმის სახელით ცნობილი მეჩეთისათვის (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 143-145).

[12] ისპაჰანი ისევე, როგორც შირაზი და იეზდი, XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან მუზაფარიდთა სახელმწიფოში შედიოდა. კარგი მდებარეობის წყალობით ქალაქი ყოველთვის იოლად ინაზღაურებდა დამპყრობთაგან მიყენებულ ზიანს. თემურ-ლენგმა ისპაჰანი პირველად 1387 წელს აიღო და უზარმაზარი კონტრიბუცია შეაწერა. ამის გამო ქალაქში აანყება მოხდა., რომელიც თემურმა სასტიკად ჩაახშო. მისი ბრძანებით 70. 000 კაცის თავისგან მინარეთები ააშენეს, ხოლო ქალაქი გაძარცვეს (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 159; История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 232).

[13] ნიშაბური _ ხორასნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მისი აშენება მიეწერება შაბურ პირველს. XIV საუკუნის დასაწყისში ქალაქი ანი-კურბანის (თურქულ-მონღოლური წარმოშობის მომთაბარე ტომი) დინასტიის სამფლობელოებში შედიოდა. 1338 წლის შემდეგ კი სახალხო მოძრაობის შედეგად შექმნილ სებზევარის სერბედართა სახელმწიფოში შევიდა. უშუალოდ თემურ-ლენგის შემოსევის წინ ნიშაბური ჰერათის მელიქებს _ ქართებს წაურთმევიათ სერბედართა უკანასკნელი მმართველი ალი მუაიდისთვის (1364-1381). 1381 წელს თემურ-ლენგმა უბრძოლველად აიღო ნიშაბური. (ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან გვ. 30; История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 217, 229, 231).

[14] კურანი _ კუნარი _ დასახლება, მდებარეობს ავღანეთში. აქ გადის გზა, რომელიც გამოეყოფა ბადახშანიდან გილგითსა და ქაშმირში მიმავალ გზას და ელალაბადისა და ქაბულისაკენ უხვევს (Бартольд В.В., Соченения, т. 7, გვ. 99).

[15] მაკურანი _ მეკრანი _ სპარსეთის ყურეში მდებარე ქვეყანა. მკვლევართა აზრით მისი სახელწოდება მომდინარეობს დრავიდული ტომის ბერძნული სახელწოდებიდან. მუსლიმ ავტორებთან ფორმა მეკრანის გარდა გვხვდება ფორმა მაკურანი. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 150-151).

[16] თუსი _ ჰულაგუიდთა იმპერიის დაშლის შემდეგ ქალაქი ანი-კურბანის დინასტიის ამირა არღუნ_შაჰის სამფლობელოში შედიოდა. მისი ვაჟი ალი-ბეგი იძულებული გახდა 1382 წელს თემურ-ლენგს დამორჩილებოდა. იგი ფერგანაში გაგზავნეს, სადაც მომდევნო წელს მოკლეს. 1389 წლის აანყების შემდეგ თემურ-ლენგის ლაშქარმა ქალაქი დაანგრია და 10000 ადამიანი დახოცა. თუსის ციხე-სიმაგრე აღადგინეს 1405 წელს თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 115; История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 217-218).

[17] თაანი _ თომა მეწოფელთან დაცულია ფორმა თანანი. შესაძლოა, ეს იყოს ყაზვინის აღმოსავლეთით მდებარე სასაზღვრო ციხე-ქალაქი თალკანი (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 200).

[18] დაღმანი _ კუმისის ოლქის ქალაქი. XIV საუკუნეში შედიოდა ხორასნის სერბედართა სახელმწიფოში და მის უკიდურეს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა. თემურ-ლენგმა 1385 წელს დაიპყრო დაღმანი (История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 227; 231-232).

[19] მაზანდერანი _ ირანის ჩრდილოეთში კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ოლქი. XIV საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ფეოდალური სამფლობელო არსებობდა. მათ შორის ყველაზე ძლიერის, ბავენდიდების, საგვარეულოს ცენტრი ამულში იყო. XIV საუკუნის ორმოციანი წლებიდან მაზანდერანში ჰასან ურის ორდენის ზეგავლენა გაიზარდა. 1350 წელს სერბედართა მოძრაობის ზომიერი ფრთის წარმომადგენელი აფრასიაზბ ჩელები სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას და უკანასკნელი ბავენდიდი მმართველი მოკლეს. მალე ზომიერ და რადიკალურ ფრთას შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ამ ბრძოლაში რადიკალებმა გაიმარვეს და სასულიერო და პოლიტიკური ხელისუფლება სეიდი შეიხის კავამ-ად-დინ მარაშის ხელში აღმოჩნდა. შეიქმნა სეიდთა სახელმწიფო ცენტრით ამულში. ამ სახელმწიფომ 1392 წლამდე თემურის ლაშქრობამდე იარსება (История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 229-230, 232).

[20] რე _ რეი _ ძველი რეგა_ ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მდებარეობდა თეირანის აღმოსავლეთით. დღეს მხოლოდ ქალაქის ნანგრევებია შემონახული. ის

იხსენიება დარიოსის წარწერაში (VI სკ. ჩ. წ.აღ.-მდე). ირანში თემურ-ლენგის ლაშქრობამდე ქალაქი ამირა ველის მფლობელობაში იყო. 1384 წელს თემურმა ამირა ველი დაამარცხა და უბრძოლველად აიღო რეი. თუმცა, ჩანს, ქალაქი მაინც დანგრეულა, ვინაიდან 1404 კლავიხოს მხოლოდ მისი ნანგრევები უნახავს (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 130-133; История Ирана с древнейших времен до XVIII века, გვ. 217-218; Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), გვ.63).

[21] ყუმი _ ისპაჰანიდან რეიში მიმავალ გზაზე მდებარე ქალაქი. ჰამადალაჰ ყაზვინის ცნობით XIV საუკუნეში ქალაქის დიდი ნაწილი დანგრეული ყოფილა. XIV საუკუნეში ყუმი შიიტური ფანატიზმის ერთ-ერთ კერად იქცა და დღემდე მნიშვნელობით სპარსეთის მეორე ქალაქს წარმოადგენს. ქალაქი თემურ-ლენგმა 1384 წელს აიღო. (ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 176).

[22] ქაშანი _ პატარა, საკმაოდ მდიდარი ქალაქი ისპაჰანი _ რეის მარშრუტზე. ცნობილი იყო ფაიფურისა და თუის თასების წარმოებით. XIV საუკუნეში ქალაქში შიიტი მოსახლეობა იყო. ჰამადალაჰ ყაზვინი ჰულაგუიდთა სახელმწიფოს ქალაქებს ოთხ კატეგორიად ჰყოფდა. პირველი კატეგორიის დიდ ქალაქებს შორის დასახელებულია ქაშანიც. თემურ-ლენგმა ქაშანი 1384 წელს აიღო. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 175-176).

[23] სულთანია _ ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთში. მისი მშენებლობა XIII საუკუნეში ილხან არღუნის დროს დაიწყო და 1313 წელს დასრულდა. ის ოლაითუ ყაენის სატახტო ქალაქი იყო. სულთანიამ მალე დაკარგა დედაქალაქის ფუნქცია, მაგრამ ხელსაყრელი მდებარეობის გამო კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა ირანის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქის ფუნქციას. ის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სამხრეთის სავაჭრო-სატრანზიტო გზის (ტრაპიზონი _ ამიერკავკასია _ სულთანია _ ჰერათი) ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იყო. სულთანიიდან სავაჭრო გზას რამდენიმე მარშრუტი გამოეყოფოდა: ყაზვინი _ ვერამინი (თეირანის მახლობლად) _ ხორასანი; ზენანი _ არდებილი _ამიერკავკასია; ზენანი _ თავრიზი _ მცირე აზია; სავა _ ყუმი _ ისპაჰანი _ შირაზი _ სპარსეთის ყურის ნავსადგურები. XIV საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქალაქს ალაირები ფლობდნენ. 1384-1385 წლებში დასავლეთ ირანში წარმოებული სამხედრო მოქმედებები თემურ-ლენგმა სულთანიის აღებით დაასრულა და სამარყანდში დაბრუნდა. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 201; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მინაზე, სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით, თბ. 1975, გვ. 85-86; Beatrice Forbes Manz, The Rise and Rule of Tamerlane, 70).

[24] თავრიზი _ ირანის აზერბაიანის დედაქალაქი. ხალიფა მუთავაქილის (847-861) მმართველობის დროს თავრიზი სოფლიდან გამაგრებულ ციხე-ქალაქად გადაიქცა. იაკუთის ცნობით XIII საუკუნის დასაწყისში თავრიზი უკვე დიდ სავაჭრო და საწარმოო ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქის მნიშვნელობა კიდევ უფრო

გაიზარდა მას შემდეგ, რაც ყაზან ყაენმა (1295-1304) დედაქალაქი გადაიტანა. ჰულაგუიდთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ თავრიზისათვის ერთმანეთს ჩობანიდები და ალაირები ეცილებოდნენ. 1356 წელს მელიქ აშრაფის სისასტიკით გამწარებულმა მოსახლეობამ ოქროს ურდოდან ანიბეგი მოიწვია და მელიქ აშრაფი მოაკვლევინა. ამის შემდეგ თავრიზში ალაირთა დინასტია (1340-1410) გაბატონდა. 1385 წელს ქალაქი ოქროს ურდოს ყაენმა თოხთამიშმა გაძარცვა და დაარბია. მომდევნო 1386 წლის დასაწყისში თავრიზი თემურ-ლენგმა აიღო და ალაირები გააძევა. ისინი მხოლოდ თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ (1405) დაბრუნდნენ თავრიზში. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 205-209).

[25] არცერთი სხვა წყარო არ ადასტურებს თემურ-ლენგის მიერ ერნაკის ციხის აღებას 1386 წელს. (იხ. სადისერტაციო ნაშრომის გვ. 95-116).

[26] სურმარი _ სურმალუ _ აირარატის ნაჰანგის *(ნაჰანგი, იგივე მხარე, პროვინცია. შედგება უფრო წვრილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების - გავარეგისაგან)* ჭაკატქის გავარში მდებარე ციხე-ქალაქი. წყაროებში იხსენიება XI საუკუნიდან. თემურ-ლენგის შემოსევების დროინდელი ქალაქის აღწერა შემონახულია კლავიხოს "დღიურში". აღსანიშნავია, რომ კლავიხოს ნაშრომი არ არის დაყოფილი თავებად, ერთადერთი გამონაკლისია თხრობა სურმარის შესახებ, მისი სათაურია: "წარღვნის შემდეგ პირველი ქალაქის _ კალმარინის (სურმარის) შესახებ". კლავიხო წერს: "მეორე დღეს, ოცდაცხრა მარტს, დაახლოებით შუადღისას მივადექით დიდ ქალაქს რომელსაც კალმარინი ეწოდება. მისგან 6 ლიგის მოშორებით მოჩანდა მთა, რომელზეც წარღვნის დროს გამოჩნდა ნოეს კიდობანი. ქალაქი ვაკეზეა გაშენებული, ერთი მხრიდან მას ჩამოუდიოდა დიდი მდინარე, რომელსაც კორასს (არაქსი) უწოდებენ, მეორე მხრიდან ერტყა ღრმა ხეობა. კლდეები, რომლებიც ამ ხეობას ქმნიან, ერთმანეთისაგან თვითმსროლიდან გაშვებული ისრის გაფრენაზე არიან დაშორებული. ქალაქი თითქმის მთლიანადაა შემოზღუდული ამ ხეობით, რომელიც მდინარემდე აღწევდა. ხეობა და მდინარე ქალაქს მიუდგომელს ხდიდნენ, ვინაიდან მასზე თავდასხმა მხოლოდ იმ ადგილიდან შეიძლებოდა, სადაც მდინარე იწყებოდა და ხეობაში შესასვლელი იყო.... მაგრამ ამ ხეობის შესასვლელის თავზე ციხე-სიმაგრე იყო აშენებული, რომელიც დიდი და მაღალი კოშკებითა და ორი ერთმანეთის მიყოლებით დატანებული კარიბჭით იყო დაცული. ხოლო ეს ქალაქი კალმარინი ითვლება პირველ ქალაქად, რომელიც წარღვნის შემდეგ აშენდა და ის ნოეს მოდგმამ ააშენა". (Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), გვ. 53).

[27] კოღბის მამასახლისი _ თომა მეწოფელის ცნობით მას მარტიროსი ერქვა. ქრონიკაში აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თურქმანი საჰათის ბრძანებით აწამეს და მდინარეში დაახრჩეს. (Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, fmnfjfeh6tyo4frw Vdatg Nfxhu4fgh, D6. 1999. გვ. 17).

[28] თაქალთუს მთა _ ბარდოღის მთა _ პარის ქედის ერთ-ერთი მწვერვალი, მის მახლობლად მდებარეობდა კოღბის მარილის საბადოები. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, D6. 1968, გვ. 21).

[29] სილიბისტრო რომის პაპის მიერ გრიგოლ განმანათლებლისთვის სიწმინდეების გადაცემისა და გრიგოლის მიერ მათი სომხეთში ჩამოტანა-დასვენების შესახებ ინფორმაცია (აქაც და უფრო ქვემოთაც) მომდინარეობს ლეგენდიდან, რომელიც XII-XIV საუკუნეებში შეიქმნა და მიზნად ისახავდა სომხეთის სამეფო ხელისუფლების სუვერენობისა და სომხური ეკლესიის ავტოკეფალურობის, ასევე მისი სხვა აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყნებთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობის ხაზგასმას. ამ ლეგენდის თანახმად გრიგოლ განმანათლებელი და თრდატ III (298-330) რომში ჩავიდნენ და კონსტანტინე დიდთან (324-337) და რომის პაპ სილიბისტროსთან დადეს ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია "Zfmfg7 Oty9o" "კავშირის წიგნის" სახელით. აშ. ჰოვჰანესიანის აზრით ეს დოკუმენტი კილიკიაში უნიატთა წრეში შეიქმნა 1189-1202 წლებს შორის, რათა გაემართლებინა კილიკიის სომხეთში უნიატური განწყობილება და ამასთანავე უზრუნველეყო სომხეთის დამოუკიდებლობა და ეკლესიის ავტოკეფალურობა. თუმცა უნდა იღინიშნოს., რომ ამ დოკუმენტის მნიშვნელობის ასე დავიწროება, არ არის მართებული, ვინაიდან ის საკმაოდ უნივერსალურია და ერთნაირად გამოსადეგი იქნებოდა სომხური ეკლესიის მესვეურთათვის ყველა მოსალოდნელ მოწინააღმდეგესთან პაექრობისას. სომხური საისტორიო მწერლობიდან ჩანს, რომ გრიგოლ განმანათლებლისა და თრდატის კონსტანტინე დიდის კარზე მოგზაურობის შესახებ ლეგენდამ საკმაოდ დიდი პოპულარობა სწორედ მონოფიზიტურ გარემოში მოიპოვა. სხვადასხვა სომხური წყარო გრიგოლისა და თრდატისათვის სილიბისტროსა და კონსტანტინე დიდის მიერ ნაბოძებ საჩუქრებს შორის სხვადასხვა სიწმინდეებს მოიხსენიებს. (Fßáj KtakfggheÛfg, ¸ñaf·ñg»ñ k³Û ³½³jf·ñfÏ³g ÙjùÇ å³jÙáyoÛfg S.I, Dñ 1957, გვ. 58-80; А. Г. Сукиасян, История Киликийского армянского государства и права, Ер. 1969, გვ. 33-35; ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, " მეცნიერება" თბ., 1975, გვ. 340-341).

[30] 1405 წლით დათარიღებული გრიგოლ ნარეკელის "გოდებათა წიგნის" ანდერძ-მინაწერის თანახმად ოთხ სასულიერო პირს ურულოთა ხელიდან დაუხსნია გეტარგელი წმინდა ნიშანი და რშტუნიქის გავარში წმ. ეღიშეს ანუ ვარდაპარტქის მონასტერში დაუსვენებია (@D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, r. F, D6., 1955, გვ. 53).

[31] იხ. სადისერტაციო ნაშრომის გვ. 86-87.

[32] 1045 წელს გაგიკ II ბაგრატუნი ანისიდან კაპადოკიაში გადასახლდა. მან კეისარ კონსტანტინე მონომახისაგან სამართავად მიიღო კაპადოკიის ორი უმნიშვნელო ქალაქი პიზა და კოლონპალატი. მოგვიანებით მისი ხელისუფლება

გავრცელდა ქალაქებზე: კესარია, წამინდავი და ხავარტანეკი. მაგრამ, როგორც ჩანს, წამინდავი დიდხანს არ დარჩენილა მის მმართველობაში, ვინაიდან ეს ქალაქი 1065 კაპადოკიაში გადასახლებულ ყარსის მეფე გაგიკს გადასცა სამართავად ბიზანტიის იმპერატორმა. 1081 წელს ბიზანტიელებმა მოკლეს გაგიკ ყარსელი და წამინდავის სამეფომაც შეწყვიტა არსებობა. შესაძლოა, რომ ქრონიკის ავტორი გაგიკ ანისელს და გაგიკ ყარსელს აიგივებს. (А. Г. Сукиасян, История Килиийского армянского государства и права, გვ. 20-21).

[33] წამინდავი _ ქალაქი მდებარეობდა მდ. წამინდავის (კიდნი) ზემოწელში. (А. Г. Сукиасян, История Килиийского армянского государства и права, გვ. 20-21).

[34] იხ. სადისერტაციო ნაშრომის, გვ. 87-90.

[35] ყარა-მაჰმადი _ ყარა-მუჰამედი _ შავბატკნიან თურქმანთა ბელადი, ცნობილი ყარა იუსუფის მამა. XIV საუკუნის 70-იანი წლებიდან იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალაირთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1387 წელს თემურ-ლენგმა თავისი სამხედრო ძალის ძირითადი ნაწილი თოხთამიშის წინააღმდეგ გაგზავნა, თვითონ კი შავბატკნიან თურქმანთა სამფლობელოს შეესია. შავბატკნიანი თურქმანები ერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ ისტორიული სომხეთის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ ვანის ტბის მიდამოებში. თემურ-ლენგის შემოსევების დროისათვის შავბატკნიანთა ხელისუფლების ქვეშ იყო არჭეშის, ხუთის და ბაღეშის საამიროები. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 361-362).

[36] ჭაპხური _ ჭაპაღური _ არაწანის (აღმოსავლეთ ევფრატი, თურქ.- მურადი) მარვენა შენაკადი, რომელიც მუშსა და ხარბერდს შორის მდებარე ტერიტორიდან ჩაედინება არაწანში. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 47).

[37] მუში _ ქალაქი მდებარეობს მუშის ველზე, ტურუბერანის ნაჰანგში, კერძოდ ტარონის გავარში, მდ. არაწანის მარვენა ნაპირზე. IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში მუში ტარონის საიშხანოს ცენტრი და საკმაოდ დიდი ქალაქი იყო. ქალაქი კიდევ უფრო განვითარდა ილხანთა ბატონობის ხანაში, ვინაიდან ის სატრანზიტო სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობდა და დაკავშირებული იყო კილიკიის სავაჭრო ცენტრებთან. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 371; 373).

[38] ჩამონათვალში მოხსენიებულია ქაბერუნიქის, ხორხორუნიქის, ჰარქის გავარები და ამ გავარების მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები _ არჭეში, ჰანაგაჰი, და მანაზკერტი.

[39] წმ. კარაპეტის მონასტერი _ სამონასტრო კომპლექსი, მდებარეობდა ქ. მუშის ჩრდილო დასავლეთით სეროხის მთების მერგემერად წოდებული ქედის განშტოებაზე. მონასტრის დაარსება დაკავშირებულია გრიგოლ განმანათლებლის

სახელთან. სამუელ ანელის ქრონიკაში ასეთი ცნობა მოიპოვება "წმინდა კარაპეტი, მეტსახელად გლაკის მონასტერად წოდებული, წმინდა გრიგოლმა ააშენა, იმპერატორის მიერ მამამთავრად დადგინების შემდეგ, მოიტანა რა წმინდა კარაპეტის ნაწილები და დაასვენა იმ ადგილას". მონასტერი ცნობილია გლაკის სავანის სახელითაც, ვინაიდან ზენობ გლაკი ამ მონასტრის პირველი წინამძღვარი ყოფილა. თომა მეწოფელთან მონასტერი წმ. კარაპეტის განსასვენებლად და ვარდაპეტ ზენობ გლაკის, ასურის, მონასტრად მოიხსენიება. შემორჩენილია მონასტრის კიდევ ერთი სახელი _ "ცხრათვალა მონასტერი". ამ სახელწოდებათა შორის ყველაზე ხშირად მონასტერი წმ. კარაპეტის სახელით იხსენიება. დღეს მონასტრის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 168; Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, 4f5f1fwfgta, kfrdrfjtyo4frw, 4fydvafpgd6ta dy pfgtotyohyggd6ta F6mfu j86\rhbdvdfgh, Af9f6mflfj, 1893, გვ. 64; jf6[g-jty6tywd6fgh afgbd6, s6d7 Zuj6, K. Kfrfcfel Teudfg, Ahdggf, 1953, გვ. 135-180).

[40] ხასგეღი – სოფელი ტარონის გავარში (Kfutw4fg O. N, Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 168).

[41] არჭეში _ ქალაქი დაარსებული უნდა იყოს ურარტუელთა დროს. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ურარტუელ მეფე არგიშტ II –ის სახელთან. არჭეში ვანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ქალაქი განსაკუთრებით განვითარდა XI-XIII საუკუნეებში. არჭეშზე გადიოდა სატრანზიტო სავაჭრო გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება თავრიზ-მანაზკერტის მარშრუტი. ეს გზა XVI საუკუნეშიც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. თემურ-ლენგის შემოსევის დროისათვის არჭეში შავბატკნიანი თურქმანების სამფლობელოში შედიოდა. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 171, 179).

[42] ხიზანი _ გავარი ტურუბერანის ნაჰანგში.

[43] ხუთა – ტურუბერანის მთიანი გავარი (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 165).

[44] შეიხი შარუ _ თომა მეწოფელთან შეიხი შარაფი ხუთის Aამირა (Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 25).

[45] ვანდირის ანუ წმ. აღბერიკის სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ტურუბერანშიიი ხუთის გავარში. მისი დაარსება უკავშირდება წმ. თადეოზისა და გრიგოლ განმანათლებლის სახელებს. სახელწოდება წმ. აღბერიკი (წყარო) კი სავარაუდოდ იქვე ახლოს მდებარე წმ. თადეოზის წყაროს გამო მიიღო. ამ მონასტრის სიწმინდეთა შორის მოიხსენიება იაკობ მოციქულის მიერ ნაკურთხი ვარი და ქრისტეს სამსჭვალები (jf6[g-jty6tywd6fgh afgbd6, გვ. 10-21).

[46] ლაზარეს ანუ მოციქულთა მონასტერი _ მდებარეობს ქ. მუშიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს მონასტერიც რამდენიმე სახელით არის ცნობილი. ყველაზე უფრო ხშირად მას მოიხსენიებენ მუშის წმ. მოციქულთა ან თორმეტ მოციქულთა მონასტრის სახელით. ეწოდება აგრეთვე "მთარგმნელთა მონასტერი". (jf6[g-jty6tywd6fgh afgbd6, გვ. 35-63.).

[47] ფირ-ჰასანი _ ყარა-ყოინლუს ერთ-ერთი ტომის ბელადი. თომა მეწოფელის მიხედვით ის და მისი ვაჟი ბაირამი ქრონიკაში აღწერილი ამბებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ყარა-მაჰმადს მოუკლავს (Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 25).

[48] ბაღეშის საამირო მდებარეობდა ტურუბერანის პროვინციაში, და შედიოდა შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს (1380-1469) შემადგენლობაში. (Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, გვ. 362).

[49] ამირა შარაფი _ ბაღეშის ამირა.

[50] არწკე _ ქალაქი ტურუბერანში, ბზნუნიქის გავარში.

[51] ქრონიკის ეს მონაკვეთი ადასტურებს შუა აზიაში, სომხური კოლონიის არსებობას და მის წარმოშობას უკავშირებს ვასაკ სივნიელის სახელს, რომელმაც მოღალატის როლი ითამაშა 450-451 წლების აანყებაში. ქრონიკის მიხედვით ეს ამბავი შაპუჰის მეფობისას ხდება, რაც აშკარა აღრევაა. სინამდვილეში სპარსეთში ამ დროს მეფობდა იეზდიგერდ II (438-457).

[52] სმბატ ბაგრატუნი _ VI_VII საუკუნეების მინის ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწე, სმბატ ვრკანის მარზპანი, რომელიც ხოსრო II-ის დავალებით აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-სომხურ საეკლესიო ცილობაში. სებეოსიდან მოყოლებული, რომელიც ყველა სხვა ომეხ ავტორზე უფრო ვრცლად მოგვითხრობს სმბატის შესახებ, რომელმაც ვრკანში ჩასვლისას იქ ენა და სარწმუნოებადავიწყებული სომეხი მოსახლეობა ნახა, და მათ გასამხნევებლად აბელ ხუცესი დაუდგინა ეპისკოპოსად, მსგავს ცნობას ბევრ სომეხ ისტორიკოსთან ვხვდებით. ამ ცნობებში სმბატი უფრო ხშირად თავისი ნამდვილი ტიტულით _ "ვრკანის მარზპანად"_ მოიხსენიება თუმცა არის რიგი წყაროებისა (უხტანესი, ასოღიკი), სადაც სმბატი "სომეხთა მარზპანადაც" მოიხსენიება. სომხეთში მისი მოღვაწეობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად უხტანესი ამბობს, რომ სმბატი არის "მფარველი და შემწე, მინდობილი ღმერთს და გამხნევებული ღმერთით; რომელმაც მაშინ სომხეთში უხელმწიფობისას შეავსო მეფისა და პატრიარქის უყოლობა". მაგრამ მეფედ იგი არსად მოიხსენება. XIV საუკუნის ქრონიკის მიხედვით კი ისე გამოდის, თითქოს 602 წელს ხოსრო II-მ სმბატ ბაგრატუნი გაამეფა. ამის შემდეგ ის წასულა ვრკანში და იქ მცხოვრები სომხებისათვის აბელ ხუცესი დაუდგენია ეპისკოპოსად. (Lfjrtyhyg Edw8teh dlheutleh h Kdñfuvg, îh]vhe, 1913, გვ. 94-95; ÎÇñ³Ïte ¶³ÝÓ³Ï»óÇ, LfjrtyoÛtyÝ KfÛtó, FmnfjfeÇñtyoÛfrµ U. F. RdÉÇù\úÑfÝçfÝ4fÝÇ, Dñ. 1961, გვ. 50-51;

EjdqfÝte jfñtÝdóytÛ ²etÕÏfÝ LfjrtyoÇyÝ jÇ»½»ñfÏfÝ, E. Ldjdeeµtyñ·, 1885, გვ. 85-86; ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, “ მეცნიერება” თბ., 1975, გვ. 41, 97, 348-358).

[53] აშკარა აღრევაა სამარყანდისა და საგასტანის (ავღანეთსა და ბელუისტანს შორის მდებარე საკასტანის ანუ სისტანის) ოლქის გაიგივება. საგასტანის ოლქი 1383-1384 წლებში დაიპყრო თემურ-ლენგმა. (Бартольд В.В., Сочинения, т. 7, გვ. 85-86; Beatrice Forbes Manz, The Rise and Rule of Tamerlane, გვ. 70, 229).

[54] ვანი _ ტურუბერანში ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი. თემურ-ლენგის პირველი შემოსევის დროისათვის ქალაქი ქურთ ამირა ეზდინს ეკუთვნოდა. თემურ-ლენგმა ვანი 26 დღიანი წინააღმდეგობის შემდეგ 1387 წლის სექტემბერში აიღო და სასტიკად გაუსწორდა მოსახლეობას. სამუელ ანელის გამგრძელებლის მიხედვით ციხის კედლებიდან გადმოყრილ ადამიანთა რაოდენობა 7.000 იყო (Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, გვ. 171; @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, D6., 1950; გვ. 573, 590; @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 286-287; 277-278; Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 37-39).

[55] სებასტია _ სივასის ანტიკური სახელწოდება. ქალაქი მდებარეობდა სულთანია _ თავრიზი _ კონიის მნიშვნელოვან სავაჭრო საქარავნო გზაზე და მცირე აზიის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქსა და მსხვილ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. XIV საუკუნის მიწურულისათვის სებასტია თურქ-ოსმალთა სამფლობელოში შედიოდა. 1400 წელს თემურ-ლენგმა ალყა შემოარტყა ქალაქს. ოსმალოთა დამხმარე ძალის დაგვიანების გამო, ქალაქის დამცველები იძულებული შეიქნენ მოლაპარაკება გაემართათ თემურთან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქალაქი დანებდებოდა და გარკვეული რაოდენობის ოქრო-ვერცხლს გადაუხდიდა თემურს, ხოლო ეს უკანასკნელი მოსახლეობის სისხლს არ დაღვრიდა. სებასტიელებმა პირობა შეასრულეს. თემურ-ლენგმაც არ დაღვარა მათი სისხლი, მაგრამ ქალაქის მცხოვრებნი ცოცხლად დამარხა. შერეფ ად-დინ ალი იეზდის ცნობით ცოცხლად დამარხულთა რაოდენობა 2.000 იყო, თომა მეწოფელის მიხედვით კი _ 4.000. იგი წერს, რომ დამარხულებს წყალი დაასხეს და ნაცარი მოაყარეს თანაც ამბობდნენ: “ისინი ორთქლივით არიან და გაზაფხულის დამდეგს აორთქლდებიანო”. ამის შემდეგ კი გაძარცვა და დაანგრია ქალაქი. (Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), გვ. 50; Бартольд В.В., Сочинения, т. 2, ч. 2, გვ. 60; Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 104-105).

[56] ბურსა _ ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში. დააარსა ბითინიის მეფე პრუსია II-მ ძვ. წ. II საუკუნეში და პრუსა უწოდა. შედიოდა ერ რომის, შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში. 1326 წელს ათწლიანი ალყის შემდეგ ის აიღეს ოსმალო თურქებმა და თავიანთ დედაქალაქად აქციეს. ზოგი წყაროს თანახმად 1365 წელს

მურად I-მა ოსმალთა პოლიტიკური ცენტრი ედირნეში (ადრიანოპოლისში) გადაიტანა. სხვა ცნობებით კი ბურსიდან დედაქალაქი 1402 წელს გადაუტანიათ. თემურ-ლენგმა ბურსა ანკარის ბრძოლის მოგების შემდეგ 1402 წელს აიღო. ქრონიკაში ქალაქის მოხსენიება მხარს უჭეერს იმ წყაროთა მონაცემებს, რომელთა მიხედვით ბურსა 1402 წლამდე რჩებოდა ოსმალთა დედაქალაქად (ვ. გაბაშვილი, ოსმალეთი, ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 232; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ. 1977, გვ. 583).

[57] თემურ-ლენგსა და ბაიაზეთ I (1389-1402) შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1402 წლის 28 ივლისს გაიმართა. ბაიაზეთის მიერ ბრძოლის წაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისტორიკოსები წყლის მარაგის უქონლობას მიიჩნევენ. ბრძოლა ანკარის მახლობლად კუბუკის ველზე გაიმართა. ეს ტერიტორია მდინარე კუბუკ-ჩაის წყლით მარაგდება. თემურ-ლენგი ამ ველზე უფრო ადრე მივიდა. ოსმალო თურქებთან ბრძოლის მოლოდინში იგი მდინარის ზემოწელში დაბანაკდა და წარმატების მისაღწევად განსაკუთრებული თადარიგი დაიჭირა. თემურ-ლენგმა დამბებისა და ხელოვნური არხის საშუალებით მდინარეს კალაპოტი შეუცვალა და წყალი მდინარის მარვენა სანაპიროზე მდებარე რეზერვუარში ჩაუშვა. ასე რომ, ბაიაზეთის უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც მდინარის ქვედაწელში განთავსდა, ბრძოლის დღეს წყლის მარაგის გარეშე აღმოჩნდა (The Battle of Ankara (1402) , A new insight on the Military Engineering Strategy used by Timur against Sultan Bayazed I, http;//members . core. com/ ~turgut/ Ankara. htm).

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით